გადაწყვეტილება Nგ-1/100/2015

ქ. თბილისი **20/07/2015**

განმცხადებელი - გ.კ

მოთხოვნა - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და სსიპ - ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ განმცხადებლის შესახებ არასწორი ინფორმაციის გასწორება.

აღწერილობითი ნაწილი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს 2015 წლის ზაფხულში განცხადებით მომართა მოქალაქე გ.კ-მ, სადაც აღნიშნული იყო, რომ 2014 წლის დასაწყისში შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურში ნარკოტესტზე შემოწმების შედეგად, დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება კოდეინის მიღების ფაქტი. შემდგომი რეაგირების მიზნით, შემოწმების მასალები გადაეგზავნა შსს ერთ-ერთ დეპარტამენტს. 2014 წლის გაზაფხულზე, აღნიშნული დეპარტამენტის თანამშრომელმა შეადგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და გადაწყვეტილების მისაღებად, საქმე გადააგზავნა სასამართლოში. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის დადგენილებით გ.კ-ს მიმართ შეწყდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება სამართალდარღვევის ფაქტის არარსებობის გამო.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს დადგენილების თანახმად, არ დადასტურდა გ.კ-ს მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული გადაცდომა - ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება, განმცხადებელი კვლავ იმყოფება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და სსიპ - ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შესაბამის ნარკოლოგიურ მონაცემთა ბაზებში. განმცხადებელმა ასევე წარმოადგინა სსიპ - ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2015 წლის x თვეში გაცემული ცნობა, რომლის თანახმად, გ.კ იმყოფება სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მონაცემთა ბაზაში ნარკოლოგიურ

აღრიცხვაზე. ცნობაში მითითებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის თარიღი და ნარკოტიკული საშუალების დასახელება, რომელიც გ.კ-ს აღმოაჩნდა შემოწმების შედეგად - ოპიუმის ჯგუფი ალკალოიდები, კოდეინი. განმცხადებელი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისგან ითხოვს შესაბამისი მონაცემთა ბაზიდან მის შესახებ მონაცემების წაშლას.

განმცხადებელი ასევე მიუთითებს, რომ 2015 წლის ზაფხულში მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს და მოითხოვა მის შესახებ ინფორმაციის გასწორება, თუმცა განმცხადებელს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რადგან სამინისტროში მის შესახებ დაცული მონაცემები ზუსტია და არ არსებობს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მონაცემთა წაშლის საფუძველი. ამასთან, შინაგან საქმეთა სამინისტრომ განმცხადებელს მიუთითა, რომ ნარკოლოგიური აღრიცხვიდან მოხსნის მიზნით, მიზანშეწონილია სსიპ - ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთვის მიმართვა.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის გადაწყვეტილებით გ.კ-ს განცხადება მიღებულ იქნა განსახილველად. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის წერილით, შინაგან საქმეთა სამინისტროსგან მოთხოვნილ იქნა ინფორმაცია იმყოფება თუ არა გ.კ შსს-ს შესაბამის მონაცემთა ბაზაში ნარკოლოგიურ აღრიცხვაზე, როდის და რის საფუძველზე მოხდა მისი აღრიცხვა. ასევე, მიმართა თუ არა მოქალაქემ სამინისტროს მის შესახებ ინფორმაციის გასწორების მოთხოვნით და რატომ არ მოხდა მოთხოვნის შესაბამისად ინფორმაციის განახლება. შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასუხო წერილის თანახმად, სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში არსებულ მონაცემებში ასახულია ინფორმაცია 2014 წლის დასაწყისში გამოვლენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ. ამავე მონაცემთა ბაზაში ასევე ფიქსირდება ქ. თბილისის სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის დადგენილება სამართალდარღვევის ფაქტის არარსებობის გამო ადმინისტრაციული საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ. 2015 წლის ივნისში გ.კ-ს მიმართვების შედეგად კი, შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს მონაცემთა ბაზაში განხორციელდა სასამართლოს დადგენილებით მითითებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების შეწყვეტის საფუძვლის ასახვა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ 201 5 წელს მოქალაქე გ.კ-ს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის საფუძველზე უარი განუცხადა მის შესახებ არსებული მონაცემების წაშლაზე. ამასთან, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიუთითა, რომ პირის ნარკოლოგიურ აღრიცხვაზე დაყენება/მოხსნა არ წარმოადგენს სამინისტროს კომპეტენციას.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა 2015 წლის ზაფხულში ასევე წერილით მიმართა სსიპ - ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს და მოითხოვა ინფორმაცია იმყოფება თუ არა გ.კ ბიუროს შესაბამის

მონაცემთა ბაზაში ნარკოლოგიურ აღრიცხვაზე, როდის და რის საფუძველზე მოხდა მისი აღრიცხვა. ასევე, მიმართა თუ არა მოქალაქემ ბიუროს მის შესახებ ინფორმაციის გასწორების მოთხოვნით და რატომ არ მოხდა მის შესახებ ინფორმაციის განახლება. ასევე, მოთხოვნილ იქნა ინფორმაცია თუ როგორ (რა წყაროებიდან) ხდება ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ნარკოლოგიური აღრიცხვის მონაცემთა საინფორმაციო ბაზების ფორმირება და ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელთა რა კატეგორიები აღირიცხება აღნიშნულ ბაზაში.

სსიპ - ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საპასუხო წერილის თანახმად, გ.კ 2014 წლის დასაწყისიდან იმყოფება ნარკოლოგიურ აღრიცხვაზე სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ნარკოლოგიური აღრიცხვიანობის მონაცემთა ბაზაში. აღნიშნული ჩანაწერის შესრულება განხორციელდა შსს საექსპერტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ნარკოლოგიური შემოწმების სამსახურის მიერ, რადგან ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად მას დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების „ოპიუმის ჯგუფის ალკალოიდები, კოდეინი“ მოხმარების ფაქტი. წერილის თანახმად, აღნიშნულ ბაზაში ერთ-ერთ ველში „სიტყვიერი აღწერა“ გაკეთებულია შემდეგი შინაარსის ჩანაწერი: „შპს „X“-ის ამბულატორიული პაციენტის გ.კ-ს სამედიცინო ბარათის მონაცემებით, შპს კარდიოლოგიური კლინიკა „Y“-ის ჩანაწერებით 2010 წელს გაცემული ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობით და საქმეში არსებული სხვა სამედიცინო დოკუმენტებით, აგრეთვე პროცესში (იგულისხმება სასამართლო სხდომის პროცესი) მონაწილე პირთა განმარტებებით არ დასტურდება გ.კ-ს მხრიდან ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების ფაქტი. გ.კ-ს მიმართ დაწყებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე შეწყდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არარსებობის გამო. ჩანაწერის საფუძვლად მითითებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის გაზაფხულს მიღებული დადგენილება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე.“

ზემოაღნიშნული წერილით ბიურომ დაადასტურა, რომ 2015 წლის ზაფხულში გ.კ-მ მიმართა მოთხოვნით, რომ ნარკოლოგიური აღრიცხვიანობის შესახებ მონაცემთა ბაზიდან ამოღებულიყო მის შესახებ არსებული არასწორი ინფორმაცია. ბიუროს საპასუხო წერილით განმცხადებელს უარი ეთქვა ნარკოლოგიური აღრიცხვის მონაცემთა ბაზიდან ამოღებაზე, რადგან მის შესახებ ჩანაწერის შესრულება განხორციელდა შსს საექსპერტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ნარკოლოგიური შემოწმების სამსახურის მიერ. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის თანახმად კი, მონაცემთა დამმუშავებელი ორგანო (შინაგან საქმეთა სამინისტრო) არის ვალდებული განაახლოს და გაასწოროს არაზუსტი მონაცემები. ბიუროს უშუალოდ არ მოუპოვებია და არ დაუმუშავებია გ.კ-ს პერსონალური მონაცემები. ამასთან, ბიუროს არ გააჩნია ტექნიკური საშუალება, რომ განაახლოს შესაბამისი ინფორმაცია (ანუ შეიტანოს კორექტირება არსებულ ჩანაწერში).

ასევე, ბიურო წერილში მიუთითებს, რომ ნარკოლოგიური აღრიცხვიანობის შესახებ მონაცემთა ბაზაში პირის აღრიცხვაზე აყვანა ხდება იმ შემთხვევაში, თუ მას დაუდგინდა ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების ან/და ფსიქოტროპული ნივთიერების მოხმარების ფაქტი. ნარკოლოგიური აღრიცხვიანობის შესახებ მონაცემთა ბაზა კი, რეგულირდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 10 დეკემბრის №317/ნ ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით „ფსიქოაქტიური ნივთიერებების მომხმარებელთა აღრიცხვაზე აყვანის და აღრიცხვიანობის წესების შესახებ“.

შინაგან საქმეთა სამინისტროს და სსიპ - ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მითითებული ფაქტების და გარემოების დაზუსტების მიზნით ჩატარდა ზეპირი განხილვა.

ზეპირი განხილვის ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სსიპ - ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ 2010 წელს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ნარკოლოგიური მონაცემთა ბაზა და სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ნარკოლოგიური აღრიცხვის მონაცემთა საინფორმაციო ბაზა ამავე უწყებების ხელმძღვანელების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე განთავსდა ერთიან სერვერზე და ბაზებში არსებული მონაცემები ხელმისაწვდომია ორივე მხარისათვის. მონაცემების გაცვლა მიმდინარეობს „ონლაინ“ რეჟიმში, ერთ-ერთი მხარის მიერ ინფორმაციის ბაზაში ასახვისთანავე. თუმცა, ორივე ბაზას გააჩნია დამოუკიდებელი ინტერფეისი და თითოეულ უწყებას მხოლოდ საკუთარ მონაცემთა ბაზაში შეუძლია შესაბამისი ჩანაწერების აღნიშვნა. მონაცემების გაცვლის საჭიროება განპირობებულია იმით, რომ 2006 წლიდან შსს საექსპერტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველო ახორციელებს დაკავებული პირების მიმართ და მოხმარებაზე ეჭვმიტანილი პირების მიმართ ნარკოლოგიურ შემოწმებას, ამის გამო, აუცილებელია სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ფიზიკური პირის ნარკოლოგიური აღრიცხვიანობის შესახებ ცნობის გაცემისას მოხდეს მონაცემების გადამოწმება სამინისტროს მონაცემთა ბაზაში. პირის მომართვის შედეგად, ბიურო ნარკოლოგიური აღრიცხვიანობის შესახებ ცნობის გაცემისას მონაცემებს ამოწმებს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს მონაცემთა ბაზაში. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ვერ მიუთითა გ.კ-ს ლაბორატორიული შემოწმების შედეგად მიღებული ინფორმაციის სსიპ - ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთვის გადაცემის სამართლებრივი საფუძველი. უწყებები მიუთითებენ, რომ მიმდინარეობს მემორანდუმზე მუშაობა, რითაც დარეგულირდება აღნიშნული საკითხი. თუმცა, სსიპ - ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს წარმომადგენელი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატში გამართულ ზეპირ განხილვაზე უთითებდა, რომ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ნებისმიერ

დაწესებულება რომელიც გამოავლენს პირის მიერ ნარკოტიკული საშუალების მიღების ფაქტს, ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს ბიუროს.

სამოტივაციო ნაწილი

1. შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ნარკოლოგიურ მონაცემთა ბაზაში გ.კ-ს შესახებ მონაცემების დამუშავების კანონიერება.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 13 დეკემბრის №979 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს დებულების“ მე-3 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, მთავარი სამმართველოს ერთ-ერთი ამოცანაა კანონმდებლობით დადგენილი წესით, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეებზე საექსპერტო-კრიმინალისტიკური და სპეციალური გამოკვლევების განხორციელება, საჭირო გარემოებების დასადგენად და საკითხების გადასაწყვეტად ექსპერტიზის ჩატარება, შესაბამისი დასკვნებისა და აქტების გაცემა. ამავე დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მთავარი სამმართველოს კომპეტენციაა ნარკოლოგიური მონაცემთა ბაზების წარმოება და განვითარება. მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით კი, მთავარი სამმართველოს ნარკოლოგიური შემოწმების სამსახურის კომპეტენციაა კანონმდებლობით დადგენილი წესით, ნარკოლოგიური გამოკვლევებისა და ექსპერტიზების განხორციელება, შესაბამისი დასკვნის გაცემა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2014 წლის დასაწყისში, შსს საექსპერტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ნარკოლოგიური შემოწმების სამსახურის მიერ გ.კ-ს ჩაუტარდა ლაბორატორიული გამოკვლევა. გამოკვლევის შედეგად განმცხადებელს დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების „ოპიუმის ჯგუფის ალკალოიდები, კოდეინი“ მოხმარების ფაქტი, რაც ასახულ იქნა შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს შესაბამის მონაცემთა ბაზაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ნარკოლოგიურ მონაცემთა ბაზაში გ.კ-ს შესახებ მონაცემები დამუშავდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ პუნქტის შესაბამისად.

2. სსიპ - ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გ.კ-ს შესახებ მონაცემების დამუშავების კანონიერება.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №255 დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დებულების მე-2 მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, ბიუროს ერთ-ერთი ფუნქციაა ნარკოლოგიური აღრიცხვის მონაცემთა საინფორმაციო ბაზების

წარმოება. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის თანახმად, ბიურო უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს ნარკოლოგიური შემოწმება და ექსპერტიზა. მე-14 მუხლის თანახმად კი, ბიუროს ქიმიურ - ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის ამოცანაა სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე სასამართლოს, პროკურორის, გამომძიებლის, საქმეში მონაწილე მხარის ან უფლებამოსილი პირის მიერ კანონით დადგენილი წესით, აგრეთვე საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირების, ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე მოქმედი კანონმდებლობისა და სამედიცინო სტანდარტების ფარგლებში, საჭირო გარემოებების დასადგენად და საკითხების გადასაწყვეტად ქიმიური და ნარკოლოგიური ექსპერტიზების ჩატარება და შესაბამისი დასკვნის და დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ აქტის გაცემა. ასევე, გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილების, მოსამართლის განჩინების /დადგენილების, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ექსპერტიზების ჩატარება. განსახილველ საქმეში ადგილი არ ჰქონდა არცერთ ზემოაღნიშნულ შემთხვევას. სსიპ - ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო ადასტურებს, რომ ცნობა გ.კ-ს ნარკოლოგიური აღრიცხვიანობის შესახებ გასცა შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს მონაცემთა ბაზაში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ამას ადასტურებს, წარმოდგენილი ცნობაც, სადაც მითითებულია - შსს: XX.XX.2014 წ.: ოპიუმის ჯგუფის ალკალოიდები, კოდეინი - რაც შსს საექსპერტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს მიერ ლაბორატორიული გამოკვლევის ჩატარების თარიღია.

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს განმარტება, რომ ნებისმიერი საჯარო თუ კერძო დაწესებულება, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ახდენს ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების მომხმარებელთა გამოვლენას, ვალდებულია ასეთი პირის გამოვლენის შესახებ აცნობოს სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს, ვერ იქნება გაზიარებული შემდეგი გარემოებების გამო:

„ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი დაწესებულება ქმნის საქართველოში ნარკომანიით დაავადებული პირებისა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა მომხმარებლების ერთიან საინფორმაციო ბანკს. ამავე მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით კი, ყველა სახელმწიფო ორგანო, იურიდიული პირი და ინდივიდუალური მეწარმე, რომლებიც ახორციელებენ საქართველოს ტერიტორიაზე ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების მომხმარებელთა, ნარკომანიით დაავადებულ პირთა გამოკვლევას, დიაგნოსტირებას, შემოწმებას, სარეაბილიტაციო ღონისძიებების ჩატარებას, ვალდებულია აწარმოოს მათი აღრიცხვა დადგენილი წესის შესაბამისად და დადგენილ ვადებში მიაწოდოს

ინფორმაცია ერთიან საინფორმაციო ბანკს. აქედან გამომდინარე, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილია ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების მომხმარებელთა, ნარკომანიით დაავადებულ პირთა შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი დაწესებულებისათვის და არა სსიპ - ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსათვის.

ამას გარდა, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო 2015 წლის წერილში მიუთითებს, რომ ნარკოლოგიური აღრიცხვიანობის შესახებ მონაცემთა ბაზაში პირის აღრიცხვაზე აყვანა ხდება იმ შემთხვევაში თუ მას დაუდგინდა ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების ან/და ფსიქოტროპული ნივთიერების მოხმარების ფაქტი. ამავე წერილში აღნიშნულია, რომ ბიუროს მიერ ნარკოლოგიური აღრიცხვის მონაცემთა ბაზის საკითხები რეგულირდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 12 დეკემბრის № 317/ნ ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით „ფსიქოაქტიური ნივთიერებების მომხმარებელთა აღრიცხვაზე აყვანის და აღრიცხვიანობის წესების შესახებ“.

ზემოაღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული „ფსიქოაქტიური ნივთიერებების მომხმარებელთა აღრიცხვაზე აყვანის და აღრიცხვიანობის წესების შესახებ“ ინსტრუქციის პირველი პუნქტის თანახმად, ნარკომანიით დავადებულთა და ნარკოტიკული საშუალებების არასამედიცინო მიზნით მომხმარებელთა გამოვლენის შემთხვევაში ივსება შესაბამისი ფორმა სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება გამომვლენ სამედიცინო დაწესებულებაში ან ინდივიდუალური პრაქტიკის მქონე ექიმთან, მეორე ეგზემპლარი იგზავნება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალურ საინფორმაციო ბანკში (შემდგომში – ცსბ), ხოლო მესამე ეგზემპლარი – შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოში. ასევე, ამავე ბრძანებით ასევე დამტკიცებულია „სომატონარკომანთა აღრიცხვიანობისა და მკურნალობის წესების შესახებ“ ინსტრუქცია, რომლის თანახმად, სომატონარკომანიით დაავადებული პირის აღრიცხვაზე აყვანა ხდება საექიმო საკონსულტაციო კომისიის გადაწყვეტილებით.

გარდა იმისა, რომ აღნიშნული ბრძანება არ ითვალისწინებს სსიპ - ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებას, ბრძანებით გათვალისწინებულია მხოლოდ იმ პირთა აღრიცხვის ვალდებულება, რომლებიც არიან ა) ნარკომანიით დავადებულნი ან ბ) ნარკოტიკული საშუალებების არასამედიცინო მიზნით მომხმარებელები.

მოქმედი კანონმდებლობა ადგენს ნარკომანიით დაავადებული პირების, ნარკოტიკული საშუალებების არასამედიცინო მიზნით მომხმარებელების და ასევე, სომატური დაავადების მქონე, ფსიქოაქტიურ ნივთიერებაზე დამოკიდებული პირის განსაზღვრებას. კერძოდ,

„ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად:

ჟ[24]) ნარკომანიით დაავადებული პირი არის პირი, რომელსაც შესაბამისმა სამედიცინო დაწესებულებამ დაუსვა სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებაზე დამოკიდებულების დიაგნოზი;

ჟ[25]) უკანონო მომხმარებელი – პირი, რომელიც ექიმის დანიშნულების გარეშე მოიხმარს I, II ან III სიაში შეტანილ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებას, მაგრამ არა აქვს ჩამოყალიბებული მასზე დამოკიდებულება;

ჟ[26]) სომატური დაავადების მქონე, ფსიქოაქტიურ ნივთიერებაზე დამოკიდებული პირი – სომატური ავადმყოფობით დაავადებული პირი, რომელსაც ექიმმა კანონიერად დაუნიშნა სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტი და რომელსაც ჩამოყალიბებული აქვს მასზე დამოკიდებულება, რასაც ადასტურებს შესაბამისი სამედიცინო დაწესებულება.

განმცხადებელი გ.კ არ წარმოადგენს არცერთ ზემოაღნიშნულ კატეგორიას შემდეგი გარემოების გამო:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის 2014 წლის დადგენილებით გ.კ-ს მხრიდან ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი არ დადასტურდა. შესაბამისად, იგი ვერ განიხილება, როგორც ნარკოტიკული საშუალებების არასამედიცინო მიზნით მომხმარებელი პირი/უკანონო მომხმარებელი;
2. „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, ნარკომანიით დაავადებული პირის დიაგნოსტირებას ახდენს ნარკოლოგიური მომსახურების მიმწოდებელი ან შესაბამისი უფლებამოსილების მქონე დაწესებულება კომისიური წესით, არანაკლებ სამი ექიმი-ნარკოლოგის მონაწილეობით. გ.კ-ს მიმართ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებაზე დამოკიდებულების დიაგნოზი არ დადგენილა.
3. საქმის განხილვისას არ ყოფილა წარმოდგენილი შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ექიმის კანონიერად დანიშნული სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის მიმართ გ.კ-ს დამოკიდებულების ფაქტს, აქედან გამომდინარე, იგი არ ჩაითვლება სომატური დაავადების მქონე, ფსიქოაქტიურ ნივთიერებაზე დამოკიდებულ პირად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შსს საექსპერტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ლაბორატორიული გამოკვლევის საფუძველზე, განმცხადებლის - გ.კ-ს აღრიცხვა სსიპ - ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ნარკოლოგიური აღრიცხვის მონაცემთა საინფორმაციო ბაზაში განხორციელდა მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით. ამასთან, სახეზე არ არის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული მონაცემთა დამუშავების (მონაცემების აღრიცხვის) არცერთი საფუძველი, რის გამოც 2015 წლის ივლისში შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელიც ხელმოწერით დაადასტურეს სსიპ - ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს წარმომადგენლებმა.

3. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სსიპ - ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთვის გ.კ-ს შესახებ მონაცემების გადაცემის კანონიერება.

2015 წლის ივლისში ჩატარებულ ზეპირ განხილვაზე, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სსიპ - ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ 2010 წელს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ნარკოლოგიური მონაცემთა ბაზა და სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ნარკოლოგიური აღრიცხვის მონაცემთა საინფორმაციო ბაზა ამავე უწყებების ხელმძღვანელების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე განთავსდა ერთიან სერვერზე და ბაზებში არსებული მონაცემები ხელმისაწვდომია ორივე მხარისათვის. მონაცემების გაცვლა მიმდინარეობს „ონლაინ“ რეჟიმში, ერთ-ერთი მხარის მიერ ინფორმაციის ბაზაში ასახვისთანავე. გ.კ-ს მიმართვის შედეგად, ბიურომ ნარკოლოგიური აღრიცხვიანობის შესახებ ცნობის გაცემისას მისი მონაცემები გადაამოწმა შსს საექსპერტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს მონაცემთა ბაზაში. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ვერ მიუთითა გ.კ-ს ლაბორატორიული შემოწმების შედეგად მიღებული ინფორმაციის სსიპ - ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთვის გადაცემის სამართლებრივი საფუძველი. სამინისტრო განმარტავს, რომ მიმდინარეობს მემორანდუმზე მუშაობა, რითაც დარეგულირდება ბიუროსთვის მონაცემთა გადაცემის საკითხი. გამომდინარე იქიდან, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს მიერ ნარკოლოგიური გამოკვლევის შედეგების (შესაბამისად, ნარკოლოგიური მონაცემთა ბაზის) სსიპ - ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთვის მიწოდებას, შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან ადგილი ჰქონდა გ.კ-ს შესახებ მონაცემების გამჟღავნებას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის დარღვევით. აღნიშნულ ფაქტზე 2015 წლის ივლისში შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელიც ხელმოწერით დაადასტურა შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა.

4. შსს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ბაზაში გ.კ-ს შესახებ ინფორმაციის დამუშავების კანონიერება.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 270-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი და საქმის განმხილველი ორგანოები ვალდებული არიან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენიდან ან/და დადგენილების გამოტანიდან 10 დღის ვადაში აცნობონ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს (ერთიან საინფორმაციო ბანკს).

შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და საქმის მასალები განსახილველად გადაეგზავნა სასამართლოს. ვინაიდან, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 208-ე მუხლის თანახმად, ამ კოდექსის 45-ე მუხლით *(ნარკოტიკული საშუალების გასაღების მიზნის გარეშე, მცირე ოდენობით უკანონოდ შეძენა ან შენახვა ანდა ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება)* გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლო. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის 2014 წლის დადგენილებით გ.კ-ს მიმართ შეწყდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება სამართალდარღვევის ფაქტის არარსებობის გამო. შინაგან საქმეთა სამინისტროს 2015 წლის წერილის თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ დეპარტამენტში არსებულ მონაცემებში ასახულია ინფორმაცია 2014 წლის იანვარში გ..კ-ს მიმართ გამოვლენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ. მონაცემთა ბაზაში ასევე ფიქსირდება ქ. თბილისის სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის მარტის დადგენილება სამართალდარღვევის ფაქტის არარსებობის გამო ადმინისტრაციული საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ. აქედან გამომდინარე, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ბაზაში გ.კ-ს შესახებ ინფორმაციის დამუშავებას ადგილი ჰქონდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 270-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5, 27-ე, 34-ე, 39-ე, 43-ე და 55-ე მუხლების საფუძველზე,

ინსპექტორმა გადაწყვიტა:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ცნობილ იქნას სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდოს ჯარიმა 2 000 ლარის ოდენობით;

2. სსიპ - ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო ცნობილ იქნას სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდოს ჯარიმა 500 ლარის ოდენობით;
3. ჯარიმის გადახდა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღის განმავლობაში უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით: სახაზინო კოდი/ანგარიშის ნომერი 302003242;
4. დაევალოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გ.კ-ს შესახებ ინფორმაციის სსიპ - ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთვის მიწოდების შეწყვეტა;
5. დაევალოს სსიპ - ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს გ.კ-ს 2014 წლის დასაწყისში ლაბორატორიულ კვლევებთან დაკავშირებული მონაცემების წაშლა ბიუროს ნარკოლოგიური აღრიცხვის მონაცემთა საინფორმაციო ბაზებიდან;
6. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ და სსიპ - ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ გატარებული ღონისძიებების შესახებ წერილობით აცნობონ ინსპექტორს არაუგვიანეს 2015 წლის 31 ივლისისა.
7. დასრულდეს მოქალაქე გ.კ-ს განცხადებასთან დაკავშირებული საქმის განხილვა;
8. განმცხადებელს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და სსიპ - ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;
9. გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს მხარეთა მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6) ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

თამარ ქალდანი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი